MES 1 22 0000922694

19/08/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპს ევრო-2000
ანზორ აბუსერიძე - სკოლის დირექტორი
მარინა ცივაძე - სკოლის დირექტორი
ელენე კალანდაძე - სკოლის იურისტი

შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინო
ნინო ქოქიაური - დაწესებულების წარმომადგენელი

ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმი)
გია ჩხიკვიშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს თბილისის მწვანე სკოლა
კახა დავითური - სკოლის დირექტორი

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა
ლელა ფიცხელაური - სკოლის დირექტორის მოადგილე

შპს სკოლა მარიოტა
ნონა კუპრეიშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს ევრო-2000
ლელა ფიცხელაური
ნანა ედიშერაშვილი
თეა გაბელაია
ლევან ღურწკაია

შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინო
დავით ლიპარტელიანი
ნინო მუმლაძე

ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმი)
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
მარინე ჯანაშვილი

შპს თბილისის მწვანე სკოლა
ქეთევან ბოტკოველი
ვერა ყურულაშვილი

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა
მიხეილ ტეფნაძე
მარიამ ხუციშვილი

შპს სკოლა მარიოტა
გულნარა ხაბურზანია
ელენე კალანდაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 05 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. შპს სკოლა ევრო-2000-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი)-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის მწვანე სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს სკოლა მარიოტას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს სკოლა ევრო-2000-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა, ნანა ედიშერაშვილმა, თეა გაბელაიამ და ლევან ღურწკაიამ. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 13, 14 და 15 ივნისს. სკოლის მმართველი გუნდი, ავტორიზაციის პროცესში, აქტიურად თანამშრომლობდა ექსპერტებთან, ითვალისწინებდა მათ რჩევებს და დროულად აწვდიდა ექსპერტთა ჯგუფს მოთხოვნილ დოკუმენტაციას. ექსპერტებმა, სკოლის საუკეთესო პრაქტიკად ჩათვალეს, რომ დაწესებულება 2011 წლიდან გახდა გერმანული ენის დიპლომის სკოლა და იყო ერთ-ერთი იმ სკოლებიდან, რომლებიც ფუნქციონირებდნენ მსოფლიოში, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარტნიორი სკოლები. ლელა ფიცხელაურის განმარტებით, სკოლაში დამკვიდრებული იყო წარჩინებული მოსწავლეებისათვის წახალისების სხვადასხვა ფორმა.

სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, ცხრა სართულიან შენობაში. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 1050 მოსწავლე, დასაქმებული იყო 147 თანამშრომელი, მათ შორის 115 მასწავლებელი. ექსპერტის თქმით, 2016 წელს განხორციელებული საავტორიზაციო ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა მიღებული რეკომენდაციები, ხოლო მიმდინარე წლის ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მხრიდან გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთა ნაწილიც დაწესებულებამ ვიზიტის დროს გამოასწორა, ნაწილი კი დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა.

ლელა ფიცხელაურის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია საათობრივ ბადესთან დაკავშირებით. მისი თქმით, სკოლა იყენებდა მესამე მოდელის საათობრივ ბადეს, რომელიც არ იყო შეთანხმებული განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან.

მეორე რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტებმა გასცეს ეხებოდა მატერიალურ რესურსს, კერძოდ სკოლის კონტინგენტიდან და სასწავლო ფართის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭირო იყო დაწესებულებას დაემატებინა კიდევ ერთი ექიმი და ექიმის კაბინეტი, რომელიც განთავსებოდა შენობის პირველ სართულზე. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის ბოლო სართულზე მიმდინარეობდა სახურავის რეკონსტრუქციის სამუშაოები და ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის, სარემონტო სამუშაოები დასრულებულიყო სასწავლო წლის დაწყებამდე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ ასევე, მიიღო რეკომენდაცია კიბის უჯრედში კამერების დამატებასთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, სტრატეგიული გეგმის პროექტთან დაკავშირებითაც სკოლამ მიიღო რეკომენდაცია, რომ დამტკიცებამდე მასში აესახათ გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები, განესაზღვრათ შესრულების ინდიკატორები, ვადები და პასუხისმგებელი პირები.

ექსპერტ, ლელა ფიცხელაურის განცხადებით, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა წერილი მტკიცებულებებით, რომლის თანახმადაც სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და 2022-2023 სასწავლო წლის საათობრივი ბადე გააგზავნა შესათანხმებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რამდენად მოსახერხებელი იყო ცხრა სართულიან შენობაში განთავსებული სკოლა მოსწავლეებისთვის.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა უპასუხა, რომ შენობაში ფუნქციონირებდა ორი ლიფტი. სკოლაში საფეხურეობრივად იყო გადანაწილებული ცხრავე სართულზე მოსწავლეთა რაოდენობა. მეცხრე სართულზე განთავსებული იყო სპორტული დარბაზები, ხოლო პირველ სართულზე სასადილო.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რამდენად იყო მოსწავლეებისთვის მოსახერხებელი პირველ სართულზე შესვენებაზე სასადილოში ჩასვლა და შემდეგ დროულად უკან დაბრუნება, შესვენებების დროის გათვალისიწინებით.
სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მერვე და მეცხრე სართულებზე არ იყო განთავსებული კლასები. მისი განმარტებით, ამასთან, შენობის შუა სართულზეც იყო სასადილო განთავსებული.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა ექსპერტებს და სკოლის წარმომადგენლებს, თუ რამდენი ადამიანის განთავსება იყო შესაძლებელი ლიფტში.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ლიფტები გათვლილი იყო 1000 კგ-ზე, სადაც ეტეოდა ოც მოსწავლეზე მეტი. მან განაცხადა, რომ სკოლა არეგულირებდა შესვენებების დროს მოსწავლეთა ნაკადების გადაადგილებას, შესაბამისად ბავშვების შენობაში გადაადგილება არ წარმოადგენდა შემაფერხებელ ფაქტორს და იყო უსაფრთხო.
როგორც სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, სკოლაში დაცული იყო უსაფრთხოების ზომები.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ როგორ არეგულირებდნენ პერსონალურ მონაცემთა დაცვას, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ჰქონდა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით გაწერილი დოკუმენტაცია, ამავდროულად სკოლის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იყო ოქროსა და ვერცხლის მედალის მფლობელი მოსწავლეების ვინაობა. ზვიად გოგუაძე, ასევე დაინტერესდა, თუ ჰქონდა სკოლას მობილობასთან დაკავშირებული გამოცდილება, რა დროსაც ჩატარებული გამოცდის საფუძველზე მოსწავლეს უარი ეთქვა ჩარიცხვაზე. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება იცავდა კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით და სკოლას თანხმობა ჰქონდა აღებული მშობლებისგან და/ან კანონიერი წარმომადგენლებისგან ვებ-გვერდზე ატვირთული ოქროსა და ვერცხლის მედალოსნების ვინაობის გამოქვეყნებისთვის. აქვე, სკოლის იურისტმა განაცხადა, რომ მობილობის დროს ჩატარებული გამოცდა ემსახურებოდა მხოლოდ გერმანული ენის ცოდნის დონის დადგენას. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან საბჭოს წევრებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 1500 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ევრო 2000-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სკოლა ევრო 2000-ს (ს/კ: 245437843) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული და რუსული ენა.

2. შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, დავით ლიპარტელიანმა და ნინო მუმლაძემ. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში დაფიქსირდა რამდენიმე შეუსაბამობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით, თუმცა, მისი თქმით, არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სკოლამ წარმოადგინა ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას განაცხადი გაკეთებული ჰქონდა 700 მოსწავლეზე. დავით ლიპარტელიანის განმარტებით, აღნიშნულ მოსწავლეთა რაოდენობას სკოლა დააკმაყოფილებდა იმ შემთვევაში, თუ სასწავლო პროცესს წარმართავდა ორ ცვლაში.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში დაფიქსირდა ორი ტიპის ხარვეზი. დავით ლიპარტელიანის თქმით, სკოლას უძრავის ქონების ფლობის ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა ერთი წლის ვადით, თუმცა ამჟამად მიმდინარეობდა ქონების ერთი იურიდიული პირიდან მეორეზე გადაცემის პროცესი. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას არ უფიქსირდებოდა კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, თუმცა ფართის გადაცემისთანავე სკოლას დაეკისრებოდა კომუნალური გადასახადების გადახდის ვალდებულება.

ექსპერტის განცხადებით, მათ გასცეს რეკომენდაცია სამედიცინო ოთახთან დაკავშირებით, რომელიც უნდა განთავსებულიყო მესამე სართულის ნაცვლად, პირველ სართულზე. დავით ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის დასრულებამდე დაიწყო აღნიშნული პროცესი. ექსპერტებმა სკოლას მეორე რეკომენდაცია მისცეს ეზოში შემოსასვლელის გამიჯვნასთან დაკავშირებით, რადგან სკოლის შენობის ნაწილს ფლობდა სხვა სუბიექტი, სადაც მოწყობილი იყო სატრენაჟორო დარბაზი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დასრულების შემდეგ სკოლამ ცენტრში გადააგზავნა საერთო შესასვლელის გადატიხრული ნაწილის დამადასტურებელი ფოტო-მასალა.

საბჭოს დავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რომელ კლასებში გეგმავდა სკოლა საათობრივი ცვლების გაკეთებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მეორე კლასებში გეგმავდა ცვლების გაკეთებას 08:30 საათიდან 13:30 საათამდე. დანარჩენი კლასები კი დარჩებოდა ჩვეულებრივ საათობრივ ბადეზე.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 700 მოსწავლისთვის საგანმანათლებლო რესურსის შექმნა. მისი განმარტებით, პირველკლასელები სწავლას იწყებდნენ 08:30 საათზე, ხოლო ამთავრებდნენ 11:55 საათზე. 12 საათზე სასწავლო პროცესში ჩაერთვებოდნენ მეორეკლასელი მოსწავლეები. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ბოლო გაკვეთილები ბავშვებს ჩაუტარდებოდათ მუსიკის, სპორტის ან ცურვისთვის განკუთვნილ ოთახებში. დაწესებულება მეორე ცვლას ითხოვდა პირველ და მეორე კლასელ მოსწავლეებზე, რომელთა რაოდენობა ჯამში შეადგენდა 100 მოსწავლეს.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ ინფორმაცია საჯარო რეესტრის ამონაწერის შესახებ, სადაც დაფიქსირებული იყო როგორც მესაკუთრის მფლობელობა, ასევე იჯარა.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შეიცვალა საკადასტრო კოდი და გაფორმდა 10 წლიანი იჯარის ხელშეკრულება. წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული დაწესებულება ფუძნდებოდა შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოს ბაზაზე და მის რესურსებს გამოიყენებდა ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, რადგანაც ის იურიდიული პირი აღარ გეგმავდა რეავტორიზაციას.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სკოლა რეავტორიზაციის რეჟიმში იყო, რატომ არჩია დაწესებულებამ ახალი იურიდიული პირით და შესაბამისად, შეცვლილი სახელით დარეგისტრირება და პირველადი ავტორიზაციის გავლა.

სკოლის წარმომადგენელის განცხადებით, დაწესებულებას სურდა ძირეული ცვლილებების განხორციელება, მთავარი მიზეზი, რის გამოც დაფუძნდა ახალი იურიდიული პირი იყო სკოლის დამფუძნებელი პარტნიორების ცვლილება. ასევე, სკოლაში შეიცვალა მენეჯმეტი, ადამიანური რესურსი და გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა. მომავალ წელს სკოლა აპირებდა ახალი შენობის აშენებს და სწორედ, ამ მიზეზთა გამო გადაწყდა სახელის ცვლილებაც და ახალი იურიდიული პირის სახით დაფუძნება. სურვილის შემთხვევაში ძველი სკოლიდან მოსწავლეები გადავიდოდნენ მობილობის წესით ახალ დაფუძნებულ სკოლაში.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რას გულისხმობდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ჩანაწერი „მეორადი ბუნებრივი განათება“ .

ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ფანჯრებიდან შემოსული სინათლე სხვა ფანჯრების მეშვეობით შედიოდა ოთახებში. მან დასძინა, რომ შენობაში ასევე, იყო ელექტორენერგია და შიდაგანათება.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რა იყო ადამიანური რესურსის ნაწილობრივი ცვლილებისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზეზი.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პარტნიორები და სკოლის დირექცია შეიცვლა, შესაბამისად, ძველი სკოლის ბაზაზე იხსნებოდა ახალი სკოლა. მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნა გამომდინარეობდა იქიდან, რომ წინა მესაკუთრემ სკოლის შენობას დააშენა მეოთხე სართული, სწორედ ამიტომ სურდა სკოლას მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდაც.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა 32 საკლასო ოთახი და 7 განაყოფის ოთახი. ექსპერტთა ჯგუფმა, განაყოფის ოთახები არ ჩათვალა სრულფასოვნად და გასცა რეკომენდაცია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 600-ით, ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განაყოფის ოთახებს ჰქონდა დამოუკიდებელი შესასვლელი და შესაძლებელი იყო სრულაფსოვანი კლასების მოწყობა, რადგან აღნიშნულ ოთახებში შესაძლებელი იყო თექვსმეტი ინდივიდუალური მერხის დადგმა.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა ცვლების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, თუ როგორ გეგმავდა სკოლა სამომავლოდ ცვლებით სასწავლო პროცესის წარმართვას.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება გეგმავდა მცირე ზომის ნაგებობის აშნებებას სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც დღის წესრიგიდან მოხსნიდა ცვლებით სასწავლო პროცესის წარმართვას. ცვლებში სწავლება განხორციელდებოდა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე, კერძოდ, პირველ და მეორე კლესებში, სანამ აშენდებოდა სკოლის დამატებითი შენობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან საბჭოს წევრებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 700 მოსწავლისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს უცხო ენების უმაღლეს სკოლა ნინოს (ს/კ: 406349303) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს წევრებმა, ნატო გაბოშვილმა და პეტრე ბაბილუამ მხარი არ დაუჭირეს შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ განაცხადა, რომ მისი შეფასებით ცვლებში სწავლება ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეებისთვის სრულფასოვან საგანმანათლებლო მომსახურებას. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას არ შეეძლო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საგანამანათლებლო სივრცის უზრუნველყოფა 700 მოსწავლისთვის.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა განმარტა, რომ იზიარებდა ექსპერტთა მოსაზრებას მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით და შესაბამისად, არ უჭერდა მხარს ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

3. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი)-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ელისო ლოლაშვილმა-მერებაშვილმა და მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილმა-მერებაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 16 და 17 ივნისს. მისი თქმით, ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 84 მოსწავლე. ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკად დაასახელა მოსწავლეების მიერ კონფერენციებსა და კონკურსებში მონაწილეობა, ასევე, გასვლითი სასკოლო ღონისძიებების ჩატარება. ექსპერტის თქმით, სკოლაში მოსწავლეებს უფასოდ ამზადებდნენ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, ასევე, სკოლაში ყოველწლიურად გამოიცემოდა მოსწავლეთა ნამუშევრების კრებული.

ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილმა-მერებაშვილმა განმარტა, რომ სკოლა საათობრივი ბადის მესამე მოდელს იყენებდა, თუმცა ის არ იყო შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რის შედეგადაც, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლას აღნიშნული დოკუმენტი შეეთანხმებინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა ცალკეული საგნის საფეხურის დაძლევის სარეიტინგო ქულა - 6.0, სასკოლო სასწავლო გეგმით კი დადგენილი იყო, რომ იმ შემთხვევაში თუკი მოსწავლე ვერ გადალახავდა წლიური გამოცდის მინიმალურ ბარიერს, დაენიშნებოდა საშემოდგომო გამოცდა. რაც, ექსპერტის განმარტებით, ეწინააღმდეგებოდა საგნის წლიური ქულის გამოთვლის პრინციპს.

ექსპერტ, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განცხადებით, სკოლა განთავსებული იყო შვიდსართულიანი შენობის მეორე სართულზე, 558 კვადრატული მეტრის ფართზე. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 11 საკლასო ოთახი, კვების ობიექტი, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის ოთახი, კომპიუტერული კლასი. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებდა ორი სველი წერტილი გოგონებისთვის და ვაჟებისათვის, თუმცა ექსპერტის თქმით, სველ წერტილებში არსებული ვიწრო კარების გამო, ეტლით მოსარგებლე პირები ვერ შეძლებდნენ აღნიშნული სველი წერტილებით სარგებლობას. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნავდა, რომ ზემოხსენებული პრობლემის აღმოფხვრა შეუძლებელი იყო შენობის კონსტრუქციასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზის გამო, თუმცა, სამომავლოდ იზრუნებდა მოცემულ საკითხზე.

ექსპერტ, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განცხადებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაემიჯნა ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო მენეჯერის სამუშაო სივრცეები. ასევე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, განეახლებინა ინფორმაცია სკოლის ვებ-გვერდებზე. ექსპერტის თქმით, აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სკოლამ განაცხადა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო, სკოლის ვებ-გვერდებზე არსებული ინფორმაცია წაიშალა და ვერ მოხერხდა ინფორმაციის განახლება.

ექსპერტ, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის თქმით, სკოლაში დასაქმებული იყო ექიმი პედიატრი, თუმცა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაწესებულებაში არ იყო გამოყოფილი არც სამედიცინო სივრცე და არც ექიმის კაბინეტი. ექსპერტის განმარტებით, ექიმი არ აწარმოებდა გაწეული დახმარებისა და ავადობის სტატისტიკის აღრიცხვას. სკოლამ ვერ წარმოადგინა ექიმთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, თუმცა მის ნაცვლად სკოლამ წარმოადგინა შრომის წიგნაკი, რომელშიც აღრიცხული იყო ინფორმაცია ექიმის დანიშვნის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია, ასევე, იძებნებოდა მართვის საინფორმაციო ბაზაში.

ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის თქმით, სკოლამ უსაფრთოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმად წარმოადგინა აღნიშნული წესის ადაპტირებული ვერსია,

რომელიც სკოლის შინაგანაწესში იყო განსაზღვრული. დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან, მიეცა რეკომენდაცია შეემუშავებინა, საკუთარი წესი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ და იგი შეეთანხმებინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლამ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა და წარმოადგინა შესაბამისი კორესპონდენცია.

ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილმა-მერებაშვილმა სკოლის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიან ციკლში პრიორიტეტულ მიმართულებად დაასახელა, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის მუდმივი განვითარება, საკადრო პოლიტიკის გაუმჯობესება და მატერიალური რესურსების განვითარება, რაც სკოლის ფართის გაზრდას გულისხმობდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული საქმისწარმოების წესი, ასევე, მოსწავლეთა პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაცია არ იყო წარმოდგენილი სრულყოფილი სახით.

ექსპერტის განმარტებით, სკოლაში დასაქმებული იყო 33 პირი, რომელთაგან 23 იყო მასწავლებელი. ათ მასწავლებელს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ათი კი იყო უსტატუსო მასწავლებელი. ხოლო სამი უსტატუსო მასწავლებელი ასწავლიდა საგანს, რომელიც არ იყო ესგ-ით გათვალისწინებული. ექსპერტმა განაცხადა, რომ უსტატუსო მასწავლებლების შერჩევა, რომლებიც დასაქმებული იყვნენ სრულ განაკვეთზე, მოხდა კონკურსის გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ პირის დაწესებულებაში დასაქმება მომხდარიყო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ამავდროულად, ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების მიერ დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები სრულყოფილად არ ითვალისწინებდა საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებს. აღნიშნულთან დაკავშირებითაც, სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია.

ელისო ლოლაშვილმა-მერებაშვილმა აღნიშნა, რომ სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ სკოლაში იყო დაცული და მეგობრული გარემო. მისი თქმით, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წამოდგენისას, ექსპერტებს მიაწოდა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, რომელიც განსაზღვრავდა მომდევნო აკადემიური წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პრიორიტეტებს და იკვეთებოდა სკოლის მზაობა ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წამომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, რა მოთხოვნები ჰქონდა სკოლას მოცემული ეტაპისთვის შესასრულებელი, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა ელისო ლოლაშვილმა-მერებაშვილმა განმარტა, რომ სკოლას დასაკმაყოფილებელი ჰქონდა მოთხოვნები პირველადი სამედიცინო დამხარების მექანიზმების უზრუნველყოფისა და შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობის მიზნით.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ, როგორ უწყობდა ხელს სასკოლო სასწავლო გეგმა სკოლის მისიის მიღწევას, რომელიც ითვალისწინებდა რაინდული სულისკვეთების მატარებელი თაობის აღზრდასა და ევროპული ჰუმანიტარული კონცეფციების განვითარებას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა ელისო ლოლაშვილმა-მერებაშვილმა განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი იყო ის აქტივობები, რომლებიც აღნიშნული მისიის მიღწევას ისახავდა მიზნად. აღნიშნული აქტივობები კი მოიცავდა კონფერენციების ჩატარებასა და სამეფო გვირგვინის სახელწოდებით კონკურსების ორგანიზებას.

საბჭოს წევრებმა, შალვა მეკრავიშვილმა და ეკატერინე კვირიკაშვილმა, ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ კითხვით მიმართეს სკოლის წარმომადგენლებს

დაეზუსტებინათ, რა შინაარს, მიზანსა და ფუნქციას ატარებდა სკოლის სახელწოდება. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, გია ჩხიკვიშვილმა განმარტა, რომ სკოლა აღნიშნული სახელწოდებით არსებობდა 23 წელი. სკოლის უმაღლესი ორგანო იყო თავადაზნაურთა საბჭოს საკრებულო. მისი თქმით, სკოლა ატარებდა ერთ-ერთი ქართველი რაინდის ნიკო ბაგრატიონის სახელს და შესაბამისად, სკოლაში აღიზრდებოდნენ ეროვნული ღირებულებების მატარებელი მოსწავლეები.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, რამდენი ხარვეზი ჰქონდა სკოლას გამოსწორებული. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, გია ჩხიკვიშვილმა განმარტა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის 36-ე მუხლის მე-12 ქვეპუნქტის ჩანაწერის მიხედვით, კერძო სკოლა უფლებამოსილი იყო წლიური გამოცდისათვის განსხვავებული წესი ჰქონოდა. აღნიშნული წესი, აძლევდა სკოლას იმის ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ მათ წლიურ გამოცდაზე გადაულახავობის შემთხვევაში დადგენილი ნორმით დაენიშნათ საშემოდგომო გამოცდა. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას განსაკუთრებული პრობლემები ჰქონდა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. ექიმის კაბინეტის მოწყობა კი ავტორიზაციის ვიზიტამდე მათთვის ფინანსურად ხელმიუწვდომელი იყო, თუმცა, სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა ექიმის კაბინეტის მოწყობის მიზნით. რაც შეეხებოდა, სკოლის ადაპტირებული გარემოს მოწყობას, გია ჩხიკვიშვილის განმარტებით, სკოლას დაწყებული ჰქონდა მოლაპარაკება და უმოკლეს ვადაში დადებდა ხელშეკრულებას, სკოლის სველი წერტილების ადაპტირებული სივრცის მოწყობის უზრუნველსაყოფად.

საბჭოს თავმდჯომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომაზე 17:15 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 17:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 120 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი)-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი)-ს (ს/კ: 204902203) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო

საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.
საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, სკოლის საავტორიზაციო შეფასების პროცესში გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით, 2023 წლის 15 ივნისამდე განხორციელებულიყო დაწესებულებაში მონიტორინგის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების მიხედვით.
საბჭოს წევრებმა, თამარ მასიკაშვილმა, მაკა მამფორიამ, ეკატერინე კვირიკაშვილმა, ქეთევან ნატროშვილმა და შალვა მეკრავიშვილმა მხარი არ დაუჭირეს ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი) -ის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ წინა ავტორიზაციის დროს ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები სკოლას არ ჰქონდა გათვალისწინებული. ასევე, მაკა მამფორიამ განმარტა, რომ ის გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ექსპერტთა დასკვნას.
საბჭოს წევრებმა, თამარ მამსიკაშვილმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, შალვა მეკრავიშვილმა და ქეთევან ნატროშვილმა გაიზიარეს საბჭოს წევრის, მაკა მამფორიას მოსაზრება.

საბჭოს სხდომა 17:46 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ.

4. შპს თბილისის მწვანე სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ შპს თბილისის მწვანე სკოლაში ვიზიტის პერიოდში არ დაფიქსირებულა ხარვეზები ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით და, შესაბამისად, არ ყოფილა მათი მხრიდან გაცემული რეკომენდაციები. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა მხრიდან გაიცა მხოლოდ ორი რჩევა.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სკოლის სახელი „თბილისის მწვანე სკოლა“ ასახავდა სკოლის შინაარსს. მისი თქმით, სკოლის ადგილმდებარეობა გამოირჩეოდა ეკოლოგიური თვალსაზრისით, ის განთავსებული იყო ბუნებრივად გამწვანებულ ტერიტორიაზე, რაც მოსწავლეებს აძლევდა საშუალებას განათლება მიეღოთ სუფთა და ჯანსაღ გარემოში. ექსპერტის თქმით, სკოლის ეზოში განთავსებული იყო სკვერები, სათამაშო სივრცეები, ფანჩატურები და ღია სასწავლო სივრცეები გაკვეთილების ჩასატარებლად.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ მასწავლებელთა პორტფოლიოების შესწავლისა და მათთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, დადგინდა, რომ მასწავლებელთა მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდებოდა თითოეული მოსწავლის განვითარებაზე სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების გზით. ექსპერტმა, აქვე დასძინა, რომ სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად, გამოვლინდა მოსწავლეთა თავისუფალი საუბრის მაღალი ხარისხი და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი. მოსწავლეებმა სკოლის პრიორიტეტად დაასახელეს მასწავლებელთა პროფესიონალიზმი,

სკოლაში არსებული უსაფრთხო და მეგობრული გარემო, ასევე, დაწესებულებაში მოქმედი კლუბები, განსაკუთრებით კი დებატების კლუბი. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლაში მოქმედი დებატების კლუბი საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის ინიციატივით 2013 წლიდან ფუნქციონირებდა, რომელშიც კონკურსის გზით, მე-VIII და მე-XI კლასის მოსწავლეები ერთიანდებოდნენ.

ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ ექსპერტების მხრიდან გაიცა რჩევა სკოლის ვებ-გვერდთან დაკავშირებით, კერძოდ, დაწესებულებას ვებ-გვერდზე არ ჰქონდა განთავსებული ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები, რასთან დაკავშირებითაც, ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს მისცეს რჩევა აღნიშნული გეგმები განეთავსებინათ სკოლის ვებ-გვერდზე.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 36 უსტატუსო მასწავლებელი. მისი განმარტებით, ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი უსტატუსო მასწავლებლების სტატუსის მქონე მასწავლებლებით ჩანაცვლების მიზნით. ექსპერტების მხრიდან გაცემული მეორე რჩევა კი შეეხებოდა უსტატუსო მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც ერთი წლის ვადით იყო დადებული. აღნიშნულ ხელშეკრულებებში განსაზღვრული იყო პირობა, რომ უსტატუსო მასწავლებლები ორი წლის ვადაში გაივლიდნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამას ან დისტანციურ კურსს. ექსპერტის თქმით, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე, მითითებული იყო, რომ მხარეები თანხმდებოდნენ, იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე გამოთქვამდნენ მისი შეწყვეტის სურვილს. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებებში არ იყო გათვალისწინებული თანამშრომელთა გათავისუფლების პირობა კონკურსის გამოცხადებისა და შესაბამისი კადრის აყვანის შემთხვევაში. რის შედეგადაც, ექსპერტების მხრიდან გაიცა რჩევა, რომ უსტატუსო მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაწესებულებას გაეთვალისწინებინა აღნიშნული პირობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, განემარტათ, თუ რამ განაპირობა 36 უსტატუსო მასწავლებლის სკოლაში არსებობა. დასმული შეკითხის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, კახა დავითურმა განმარტა, რომ უსტატუსო მასწავლებელთა შორის ძალიან ბევრი იყო პროფესიონალი მასწავლებელი და, მისი თქმით, სტატუსი არ განსაზღვრავდა მათ კვალიფიკაციას. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ყველა უსტატუსო მასწავლებლის საქმიანობა და ხელშეკრულებები დაექვემდებარებოდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ, არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 1700 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის მწვანე სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს თბილისის მწვანე სკოლას (ს/კ: 401959528) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1700 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

5. შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და მარიამ ხუციშვილმა. ექსპერტ, მიხეილ ტეფნაძის თქმით, შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 28 და 29 ივნისს. სკოლა სწავლა-სწავლების პროცესს ახორციელებდა ქართულ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების შესაბამისად. მიხეილ ტეფნაძის განმარტებით, სასკოლო საათობრივი ბადე შეთანხმებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. საათობრივ ბადეში იყო აღწერილი ძირითადი საგნები, მოსწავლეებისთვის შეთავაზებული გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურეობა და იმ საგანთა ჩამონათვალი, რომელთა სწავლებაც სკოლაში საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით ინგლისურ ენაზე ხორციელდებოდა. ექსპერტის თქმით, სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნებოდა მოსწავლეებზე ორიენტირებულ პრიცნიპებს, რაც სკოლის ძლიერ მხარედ ჩაითვალა. ამავდროულად, სკოლის საუკეთესო პრაქტიკაში მოიაზრებოდა მოსწავლეების მიღწევები საერთაშორისო კონფერენციებზე და ის ფაქტი, რომ სკოლა მუდმივად ინარჩუნებდა ადამიანურ რესურსს და წლიდან წლამდე მზარდი ადამიანური რესურსის კომპეტენციაას, რასაც მოწმობდა შიდა შეფასების მექანიზმები და შესაბამისი შედეგები. მიხეილ ტეფნაძის განმარტებით, ინტერვიუირების პროცესში მოსწავლეების მშობლები მაქსიმალურ ნდობას უცხადებდნენ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს და აღნიშნავდნენ სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოების საკითხს. მისი თქმით, მოსწავლეების ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას განაპირობებდა თითოეული მასწავლებლის გვერდში დგომა, მოსწავლეები არ რჩებოდნენ პრობლემასთან მარტო. მასწავლებლები მუდმივად მზად იყვნენ და ჰქონდათ შესაბამისი დრო, რომ ნებისმიერი საკითხის გადაჭრისას, აკადემიური თუ ფსიქო-ემოციური მიმართულებით, დადგომოდნენ მოსწავლეებს გვერდით, რათა მათთვის ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო

შექმნილიყო. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ორი ფსიქოლოგი, რომლებიც მასწავლებლებს უწევდნენ კონსულტაციებს, იმისათვის, რომ სკოლაში მოსწავლეებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო შექმნილიყო.
ექსპერტ, მიხეილ ტეფნაძის განმარტებით, სკოლის შენობა-ნაგებობა განთავსებული იყო 5900 კვადრატულ მიწის ფართობზე, ხოლო უშუალოდ შენობის საერთო ფართი წარმოადგენდა 4269 კვ. მ-ს. მისი თქმით, სკოლაში განთავსებული იყო 61 საკლასო ოთახი, კლასში მოსწავლეთა რაოდენობა წარმოადგენდა მინიმუმ 12 და მაქსიმუმ 24 მოსწავლეს. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 1056 მოსწავლე. კომპიუტერების რაოდენობა წარმოადგენდა 102 ერთეულს. სკოლის შენობა-ნაგებობა მოწყობილი იყო სასკოლო სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად. სკოლის შენობასა და ეზოში შესაძლებელი იყო საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლის ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო კომპიუტერული ტექნიკით და პროექტორით.
ექსპერტი, მიხეილ ტეფნაძე შეეხო დაწესებულების ადამიანურ რესურსსაც და აღნიშნა, რომ სკოლაში რეგისტრირებული იყო 143 თანამშრომელი, მათ შორის 112 იყო მასწავლებელი. ექსპერტის განმარტებით, სკოლას არ უფიქსირდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მიმართ შეუსაბამობა. შესაბამისად, ექსპერტთა მხრიდან, არ გაცემულა არც რეკომენდაციები და არც რჩევები. სკოლაში იყო კეთილგანწყობილი საგანმანათლებლო გარემო, რომელიც მიზნად ისახავდა სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან საბჭოს წევრებთან.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა სასწავლო პრცესთან დაკავშირებით, სკოლის საუკეთესო პრაქტიკაში ნახსენები იყო კვლევაზე ორიენტირებული ინტერაქტიული სასწავლო პროცესი. საბჭოს წევრს აინტერესებდა, თუ რა იგულისხმებოდა აღნიშნულ სასწავლო პროცესში. ექსპერტ, მიხეილ ტეფნაძის თქმით, სკოლაში თითოეული მასწავლებელი ფლობდა უნარს, რომ ჩაეტარებინა ინტერაქტიული გაკვეთილი, რასაც ადასტურებდა ინტერვიუირების პროცესი და კათედრების ანგარიშები. მოსწავლეებმა დაადასტურეს არა მარტო ლაბორატორიული კვლევების არსებობა, არამედ სტანდარტული გაკვეთილის დროს პრობლემაზე ორიენტირებული მეთოდის გამოყენება. ამ ფაქტებიდან გამომდინარე ექსპერთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა, რომ სკოლას ჰქონდა მაქსიმალური შესაძლებლობა ორიენტირებული გარემო შეეთავაზებინა მოსწავლეებისთვის. თითოეული მასწავლებელი ცდილობდა ინტერაქტიული სასწავლო პროცესის შექმნას, რაც აღმოჩენამდე მიიყვანდა მოსწავლეს.
საბჭოს წევრის, პეტრე ბაბილუას აზრით, სკოლის საქმიანობა იყო უპრეცედენტო, გამომდინარე იქიდან, რომ კლასგარეშე საქმიანობის მიმართულებით, განსაკუთრებით მათემატიკის განხრით, სკოლას ყოველთვის მიჰყავდა მოსწავლეები სხვადასხვა კონფერენციებზე და შეჯიბრებებზე. მისი თქმით, ეს მიდგომა უნდა გაეთვალისწინებინა ყველა სკოლას კლასგარეშე საქმიანობის მიმართულებით. ამასთან, გაჟღერდა ის ფაქტიც, რომ სკოლა არა მხოლოდ მათემატიკის მიმართულებით ახორციელებდა მსგავს საქმიანობას, არამედ სხვა საგნების მიმართულებითაც.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან საბჭოს წევრებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 1250 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1250 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 28 სექტემბრის N111 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 28 სექტემბრიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 28 სექტემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლას (ს/კ: 202937983) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1250 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 28 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

6. შპს სკოლა მარიოტას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, გულნარა ხაბურზანიამ და ელენე კალანდაძემ. ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას განმარტებით,

საავტორიზაციო ვიზიტი სკოლაში განხორციელდა მიმდინარე წლის 20, 21 დ 22 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქ. სენაკში. ექსპერტის თქმით, სწავლება ხორციელდებოდა სამივე საფეხურზე, სკოლაში კი ვიზიტის დროს ირიცხებოდა 273 მოსწავლე. სკოლის ძლიერ მხარედ ექსპერტების მხრიდან დასახელდა ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკა ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის და მასწავლებელსა და მოსწავლესა და მშობლებს შორის. ასევე, კვალიფიციური, სტატუს მქონე კადრების არსებობა, რომლებსაც კონკურენციის პირობებში სკოლა ინარჩუნებდა წლების განმავლობაში, რაც ჯანსაღი თანამშრომლობითი გარემოს ინდიკატორი იყო. გულნარა ხაბურზანიამ აღნიშნა, რომ სკოლის ძლიერი მხარე, ასევე, ტესტური წერები იყო, რომლის საფუძველზეც ხდებოდა სასკოლო სარეინტიგო სისტემით წლის საუკეთესო მოსწავლის გამოვლენა. ამ ინსტიტუტის არსებობა სკოლაში დადებითად იყო შეფასებული თავად სკოლის წარმომადგენლებისგან და მოსწავლეების და მშობლების მხრიდან. ექსპერტმა განაცხადა, რომ წინა მონიტორინგის ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების უმეტესობა სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა. ეს ეხებოდა სასკოლო სასწავლო გეგმაში სასწავლო განრიგის არარსებობას, საშინაო დავალების შემოწმებას განმსაზღვრელი შეფასებით დაწყებით მე-V-VI კლასებში და, ასევე, არჩევით საგნებში. ვიზიტის დროს ექსპერტებმა გადაამოწმეს თითოეული საგანი და მხოლოდ ინგლისურ ენაში გამოიკვეთა ისევ აღნიშნული პრობლემა, ხოლო დანარჩენ საგნებში სრულად იყო გათვალისიწნებული ავტორიზაციის წინა ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია. ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით გაიცა ექსპერტების მხრიდან რეკომენდაცია. აქვე, მან განმარტა, რომ სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ერთ-ერთი ქვესტანდარტის მიმართ ჰქონდა შეუსაბამობა. კერძოდ, ბიბლიოთეკაში წიგნები არ იყო საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული. წიგნებს არ ჰქონდა საინვენტარო ნომერი მინიჭემული, იყო მხოლოდ ბეჭედი დატანილი, თუმცა არ იყო სრულყოფილად დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა მიერ, გაიცა რეკომენდაცია. გულნარა ხაბურზანიამ აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან გათვალისწინებულ იქნა სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის საკითხი, პანდუსები იყო დამონტაჟებული, სველი წერტილი კი მოწესრიგებული. თუმცა სსსმ მოსწავლე ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა. გათვალისწინებული იქნა კამერების დამონტაჟების საკითხიც, თუმცა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გაიცა დამატებით რეკომენდაცია ვიდეო კონტროლის გაძლიერების თვალსაზრისით. რაც გულისხმობდა სკოლის შიდა სივრცეში, კიბის უჯრედში და დერეფანში კამერების დამატებას. ასევე, გარე სივრცეში შენობებს შორის არსებული სივრცის კონტროლს, რომელიც საერთოდ არ კონტროლდებოდა სკოლის მიერ.

ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას განმარტებით, პირველ სტანდართან მიმართებით, სკოლა სწავლას ახორციელებდა სამივე საფეხურზე, სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც დამტკიცებული იყო სწავლის დაწყებამდე. საათობრივ ბადეში გათვალისწინებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები. თუმცა ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ საათობრივ ბადეში მითითებული ყოფილიყო არჩევითი საგნების ცხრილი, თუ რომელ კლასში რა საგანი ისწავლებოდა. ექსპერტის თქმით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით. 2021-2022 სასწავლო წელს ფუნქციონირებდა ნორჩ ბიოლოგთა კლუბი მე-V-VII და მე-X-XII კლასებში, მათემატიკის კლუბი „პირამიდა“ მე-X-XII კლასებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებდა 7 საგნობრივი კათედრა. ინტერვიუირების დროს კათედრის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ იყო ურთიერთთანამშრომლობითი გარემო და კოორდინირებული თანამშრომლობა. გულნარა ხაბურზანიამ დაამატა, რომ სემესტრულად და წლის ბოლოს ახორციელებდნენ მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზს, თუმცა დოკუმენტაციის შესწავლისას ყველა კათედრის მიერ არ იყო აღნიშნული პუნქტი სრულფოსოვნად წარმოდგენილი. ზოგ შემთხვევაში ოქმები შეიცავდა მწირ ინფორმაციას. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა შემაჯამებელი დავალებების

ანალიზების ფორმები, ზოგიერთ შემთხვევაში დამაკმაყოფილებლად იყო წარმოდგენილი აღნიშნული ფორმები, ზოგ შემთხვევაში კი ანალიზი შეიცავდა მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებს. ზოგიერთი შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმატი არ შეესაბამებოდა თავად შემაჯამებელი დავალების ანალიზის საგნობრივი სტანდარტის აღწერილობას. შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით სკოლისთვის დეტალურად იქნა ინფორმაცია მიწოდებული ექსპერტების მხრიდან. ზოგიერთ ანალიზში არ იყო კონკრეტული ინტერვენცია დასახელებული, თუ რა შეიძლებოდა მოსწავლის აკადემიური შედეგის გაუმჯობესებისთვის ყოფილიყო გამოყენებული. ექსპერტების მხრიდან შემოწმდა მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას განმარტებით, კერძო სკოლებისთვის მნიშვნელოვანი იყო, თუ რა პოლიტიკას ირჩევდა ის მოსწავლის ფინანსური დავალიანებების შემთხვევაში. ხელშეკრულების მესამე პუნქტის მიხედვით, მოსწავლეს ფინანსური დავალიანების შემთხვევაში უწევდა სკოლიდან ამორიცხვა, რაც, ექსპერტის თქმით, ეწინააღმდეგებოდა ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პრიმა მუხლს და პირველ და მე-2- პუნქტებს. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლა ვალდებული იყო ფინანსური დავალიანების არსებობის შემთხვევაში მოსწავლისთვის მიეცა სემესტრის დასრულების შესაძლებლობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოსულიყო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

ექსპერტმა, ისაუბრა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ორ შენობაში. ერთი შენობის მესაკუთრე იყო თავად სკოლა, ხოლო მეორე შენობის მესაკუთრე იყო ქ. სენაკის მუნიციპალიტეტი, რომელსაც ფართი უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული ჰქონდა სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებისთვის. ამ უკანასკნელს, კი იჯარის ხელშეკრულებით სკოლისთვის გადაცემული ჰქონდა პირველი შენობის 389 კვადრატული მეტრის ფართი. იჯარის ხელშეკრულების ვადად განსაზღვურლი იყო 2024 წლის 16 ოქტრომბერი. შენობის იმ ნაწილში, სადაც სკოლა ფუნქციონირებდა, გამიჯნული იყო შენობის დანარჩენი ნაწილისგან და ჰქონდა ცალკე შესავლელი. ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, არ იყო საკმარისი რაოდენობის ცეცხლმაქრები განთავსებული. ექსპერტთა მხრიდან, რეკომენდაცია გაიცა ცეცხლმაქრების რაოდენობის ახალი საევაკუაციო გეგმის შესაბამისად განთავსებაზე. ასევე, უნდა შემუშავებულიყო ხანძარსაწინაარმდეგო მექანიზმის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რაც სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა. გულნარა ხაბურზანიამ განმარტა, რომ წლების წინ შემუშავებული საევაკუაციო გეგმა ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის დადგენილებას, რომელიც სწორედ საევაკუაციო გეგმის სტანდარტებს ითვალისწინებდა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველეყო აღნიშნული დადგენილების შესაბამისად საევაკუაციო გეგმების დამზადება. ექსპერტის თქმით, ხარვეზი დაფიქსირდა ასევე, სამედიცინო კაბინეტის მოწყობასთან დაკავშირებით. ფოტო-მასალით წარმოდგენილი იქნა რეგულაციის შესაბამისად, კაბინეტის აღჭურვის გარემოება. ექსპერტმა დაამატა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის დროს შეიძინა და წარმოადგინა დოკუმენტები. ექიმთან გასაუბრება ვერ მოხერხდა ვიზიტის დროს, თუმცა ექპსერტებმა ნახეს ჟურნალი, საიდანაც იკითხებოდა მოსწავლეების მიმართვიანობა. ექსპერტი, გულნარა ხაბურზანია შეეხო მესამე სტანდარტს და აღნიშნა, რომ მასწავლებელთა პირადი საქმეები იყო მოწესრიგებული, თუმცა არ იყო წარმოდგენილი ცნობები ნასამართლეობის შესახებ და ექსპერტების მხრიდან გაიცა აღნიშნულთან დაკავშირებით რეკომენდაცია. ასევე, ექსპერტის თქმით, დაფიქსირდა, რომ შრომით ხელშეკრულებებში არ იყო აღნიშნული მასწავლებელთა შესაბამისი სტატუსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ დასვა კითხვა სკოლის საუკეთესო მოსწავლის გამოვლენის წესთან დაკავშირებით. ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სარეიტინგო სია დგინდებოდა

ტესტური დავალებების შედეგად და დაინტერესდა, რამდენად ოპტიმალური იყო მსგავსი შეფასების სისტემა სკოლის საუკეთესო მოსწავლის გამოსავლენად. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ეს სარეიტინგო ტესტირება ამოწმებდა მხოლოდ დეკლარატიულ ცოდნას და არა სხვა უნარებს. ასევე, მისი აზრით, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო მოსწავლის წარმატებისთვის. თუმცა, აღმოჩდნა, რომ თეორიული ცოდნის გარდა, სხვა პრაქტიკული უნარის არსებობის შემთხვევაში, მოსწავლე ამ სარეიტინგო სიაში ვერ მოხვდებოდა. საბჭოს თავმჯდომარის, დავით მალაზონიას აზრით, ტესტური დავალებები არ გამოხატავდა არც ცოდნის შემოწმებას, ცოდნის შემოწმება კი არ განსაზღვრავდა საუკეთესო მოსწავლეობის სტატუსს.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომის მიმდინაროებისას აღნიშნა, რომ ყველა ხარვეზი, რაც ექსპერტებს ჰქონდათ წარმოდგენილი გამოასწორეს. ორივე იჯარის ხელშეკრულება გახანგრძლივდა 2028 და 2032 წლამდე. შეიძინეს დამატებით 6 ვიდეო-კამერა. დაამატეს ცეცხლმაქრები და შეიმუშავეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა სკოლაში არსებული ურთიერთთანამშრომლობის მაღალი მაჩვენებლით, თუ რაში გამოიხატებოდა აღნიშნული თანამშრომლობა. ექსპერტების განმარტებით, ეს ფაქტი კოლეგებს შორის ინტერვიუების დროს დადასტურდა. სკოლაში იყო მაძიებელი მასწავლებელიც და დიდ მხარდაჭერაზე საუბრობდა პროფესიული გამოცდილების გაზიარების კუთხით. სკოლაში, ასევე იყო კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, კოლეგები ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ესწრებოდნენ გაკვეთილებს და ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას თქმით, სკოლაში აღნიშნულის დამადასტურებელი ოქმებიც არსებობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 320 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა მარიოტას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სკოლა მარიოტას (ს/კ: 239866105) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს წევრებმა, ზვიად გოგუაძემ, შალვა მეკრავიშვილმა და მანანა ჯინჭარაძემ მხარი არ დაუჭირეს შპს სკოლა მარიოტას ავტორიზაციის მინიჭების საკითხს. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განმარტა, რომ ის გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დასკვნას, სადაც ფიქსირდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მიმართ შეუსაბამობა. საბჭოს წევრებმა, შალვა მეკრავიშვილმა და მანანა ჯინჭარაძემ გაიზიარეს საბჭოს წევრის, ზვიად გოგუაძის მოსაზრება.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია. კერძოდ, 2022 წლის 15 სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18:55 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა